ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2338270

ნომერი: AR1352148

თარიღი : 27.10.2015

გაცემის თარიღი : 11.12.2015

გაცნობის თარიღი : 11.12.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 1 / ქალაქი თბილისი , ქუჩა პურის მოედანი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ავთანდილ ნაცვალაძე პ/ნ 01030052696
- თბილისი, გუნიას ქ # 2, სართული 1, ბინა #2

ორგანიზაცია:
- შპს "ალიანს-ჯი" კოდი: 204560714

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მაია ბუხაიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს AM ფარდი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202461246

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ალიანს-ჯი, დირექტორი ნინო კოკაია
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204560714
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს ალიანს-ჯი, დირექტორი ნინო კოკაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 204560714

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1973622
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.06.2015

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015 წლის 24 ივნისის N1973622 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, (სექტორი -კრწანისი), პურის მოედანი N1 და N2–ში, შ.პ.ს. ,,ალიანს–ჯი''–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობების (უძრავი ძეგლები) რეკონსტრუქცია–ადაპტაციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 25 ივნისიდან 2015 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით.

2015 წლის 27 ოქტომბერს NAR1352148 განაცხადით მოგვმართა მოქ. ა. ნაცვალაძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის გაგრძელების მიზნით 2015 წლის 24 ივნისის N1973622 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 ივნისის N1973622 ბრძანებასა და უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობაში, კერძოდ "ნებართვა ძალაშია 2015 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2016 წლის 11 აპრილის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 ივნისის N1973622 ბრძანებასა და უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობასთან ერთად.

- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული,

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge